New Construction Company (NCC) Completes Reconstruction Of Batumi's Historical Building

Reconstruction of Batumi's former railway station and turning it into TBC Bank's newest branch is New Construction Company's latest achievement.

The 19th century building located at 37 Zubalashvili Street is one of Georgia's most beautiful and architecturally significant landmarks. It is the oldest structure of its kind in this country that has more or less retained its original appearance.

The railway station was built in 1889-1895 by Mr. Vasil Kartsov, who at the time was Batumi's chief architect. The station functioned for a century until it suffered serious damage in the 1990's and stopped operating.

The building had not been functioning for nearly 20 years before TBC Bank selected it as the location of its newest branch and entrusted the completion of the substantial renovations to the team of NCC.

New Construction Company began reconstruction works in October 2007 with special emphasis on keeping the historical building's original exterior. Within a short 15-month period, NCC successfully completed the extensive works and delivered the renovated building to the city with a new purpose.

The grand opening of TBC Bank Batumi's newest branch took place on January 27, 2009 in the presence of Georgian President Mikheil Saakashvili and other government officials.

About New Construction Company

New Construction Company *was established in 2005 in Tbilisi and specializes in construction, refurbishment and restoration. It is today one of Georgia's leading and most experienced construction companies. NCC's projects include Cinema City in Digomi; Green Building; TBC Bank's head office on Marjanishvili Street; HSBC Bank Georgia head office on Rustaveli Avenue; National Museum's auditorium; complex Mukhran Batoni Chateaux; offices of Georgian Glass and Mineral Waters (GGMW) and EBRD; public school in Tserovani for displaced children; Progress Bank main branch and others.*

TBC Batumi

„ახალმა სამშენებლო კომპანიამ" დაასრულა ბათუმის ისტორიული შენობის რეკონსტრუქცია

ბათუმის ყოფილი რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქცია და მისი „თიბისი ბანკის" ახალ ფილიალად გარდაქმნა „ახალი სამშენებლო კომპანიის" უახლესი მიღწევაა.

ზუბალაშვილის №37-ში განთავსებული მე-19 საუკუნის შენობა საქართველოს იმ უმნიშვნელოვანეს და უმშვენიერეს არქიტექტურულ ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც დღემდე მეტ-ნაკლებად პირვანდელი სახით მოაღწიეს.

რკინიგზის სადგურის მშენებლობა 1889-1895 წ.წ. მიმდინარეობდა და მისი ავტორი ბათუმის მთავარი არქიტექტორი ვასილ კარტსოვი იყო. შენობა ერთი საუკუნის მანძილზე ფუნქციონირებდა, 90-იან წლებში კი მნიშვნელოვნად დაზიანდა და ფუნქციონირება შეწყვიტა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში სადგური კვლავ უფუნქციოდ იყო დარჩენილი, სანამ „თიბისი ბანკმა" მასში ბათუმის ახალი ფილიალის განთავსება გადაწყვიტა და შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასრულებლად „ასკ" შეარჩია.

„ასკ"-მ სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2007 წლის ოქტომბერში დაიწყო. დიდი ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ შენარჩუნებულიყო ისტორიული შენობის თავდაპირველი იერსახე. 15-თვიანი მუშაობის შემდეგ „ასკ"-მ წარმატებით დაასრულა ფართომასშტაბიანი სამუშაოები და დაუბრუნა ქალაქს შენობა ახალი დანიშნულებით.

ახალი ფილიალის საზეიმო გახსნა 2009 წლის 27 იანვარს შედგა. გახსნის ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი და მთავრობის სხვა ოფიციალური პირებიც ესწრებოდნენ.

„ახალი სამშენებლო კომპანიის" შესახებ

„ახალი სამშენებლო კომპანია" *2005 წელს დაარსდა და მისი მოღვაწეობის სფერო სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს მოიცავს. დღეს ის ერთ-ერთი წამყვანი და ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე სამშენებლო კომპანიაა საქართველოში. „ასკ"-ს შესრულებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა კინოს სახლი დიდ დიღომში, „მწვანე შენობა", „თიბისი ბანკის" სათავო ოფისი მარჯანიშვილის ქუჩაზე, „ეიჩ-ეს-ბი-სი ბანკი საქართველოს" სათავო ოფისი რუსთაველის გამზირზე, სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორია, მუხრან-ბატონის კომპლექსი, „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ოფისი, „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" ოფისი, საჯარო სკოლა წეროვანში დევნილი ბავშვებისთვის, „პროგრეს ბანკის" სათავო ოფისი და სხვა.*